ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1460055

ნომერი: AR1234557

თარიღი : 13.08.2014

გაცემის თარიღი : 03.09.2014

გაცნობის თარიღი : 03.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ზურაბ აბულაძე , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ინესა სტარრენ პ/ნ 01030018586
- თბილისი სამრეკლოს I შეს. N 7

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1800
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 29.11.2011

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი–ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია მიშენება–დაენებით.
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ავაზაშვილი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ი/მ "ნეოკლასიკი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 595332255

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ინესა ესაიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030018586

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 411.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 254.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 335.89
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 112.24
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 135.05
- .მანსარდის ფართობი (კვ.მ).: 88.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1014.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1014.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.83
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.63
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-1 მოცემულია 1.0 ათვისებულია 254.30/411.0=0.61=0.6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-2 მოცემულია 1.5 ატვისებულია 254.30+254.30=508.6. 508.6/411.0=1.23=1.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-3 მოცემულია 0.2 ათვისებულია 117.63/411.0=0.28=0.3

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 122795
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 30.03.2012

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1270649
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.05.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

პირველ რიგში მოგახსენებთ, რომ ვინაიდან წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალიდან ირკვევა, რომ კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოები უკვე ნაწარმოებია - ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების 63–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად ,,თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტაციაში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული

ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ".
1. ვინაიდან თანხმობას თანამესაკუთრე როზა პალაგაშვილის ნაცვლად გასცემს ლაშა პალაგაშვილი, შესაბამისად, წარმოსადგენია ლაშა პალაგაშვილის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა). ამასთან, აღნიშნული თანხმობით შესაძლებელია მხოლოდ როსინდო სტარენნის კუთვნილი ფართის რეკონსტრუქცია, ხოლო ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები ეხება ორივე თანამესაკუთრის კუთვნილ ფართს, წარმოსადგენია შესაბამისი - განახლებული თანხმობა; ასევე გაითვალისწინეთ, რომ დამკვეთის ველებში უნდა დაფიქსირდეს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესის მქონე პირი და არა მისი მინდობილი პირი. ასევე, ვერ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილების საკითხი, მინდობილობას უნდა გაცემდეს დამკვეთი/დამკვეთები - განმცხადებლის სახელზე;

2. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი; .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: გენგეგმა წარმოდგენილია გაურკვეველი გრაფიკით, საჭიროა წარმოადგინოთ უფრო წვრილი ხაზებით; ასევე გაურკვევლად არის დატანილი საკადასტრო საზღვრები;

3. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : ვექტორული ფაილი უნდ აითვალისწინებდეს საპროექტო განაშენიანების ფართის და კოეფიციენტების საანგარიშო კონტურები - ,,კროკები", ფართების მითითებით; (აღნიშნულის არ წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ ვერ ხერხდება თქვენს მიერ მითითებული კოეფიციენტების პროექტთან შესაბამისობის გადამოწმება);

4. შესაბამის ველებში საჭიროა ატვირთოთ კონსტრუქციული დასკვნა არსებული შენობის მდგრადობაზე და მასზე ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლებლობის თაობაზე და მიუთითოთ მისი შემსრულებლის რეკვიზიტები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.